



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №025/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - გიორგი ჩიკვილაძე

საქმის ფაქტები

ადვოკატმა მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს (საჩივრის ავტორის შვილს) მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა „ნაბიჭვარი“. აღნიშნულ ბრალდებას არ დაეთანხმა მოპასუხე ადვოკატი, რომელმაც მიუთითა, რომ მოცემული სიტყვა გამოიყენა თავად სიტყვის ისტორიული დეფინიციის ფარგლებში, რაც ფაქტის კონსტატირებას წარმოადგენდა და არა შეურაცხყოფის მიყენების მიზანს. ადვოკატმა ასევე მიუთითა, რომ სახეზე იყო არასათანადო მომჩივანი, რადგან მისი შვილის მიმართ გამოიყენა სადავო სიტყვა და არა თავად განმცხადებლის მიმართ, ამიტომ საჩივარი არ უნდა ყოფილიყო ცნობილი დასაშვებად.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატის კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის დედამ და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ განმცხადებელი ჩათვალა უფლებამოსილ მომჩივნად და არძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), აპეკ-ის 11.3 მუხლების დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ გამოთქმული სიტყვიერი შეურაცხყოფა უშუალოდ პროცესუალური მოწინააღმდეგის, თუ მისი ახლო ნათესავისადმი ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, კომისიის განმარტებით, ადვოკატის ქმედება აშკარად შეესაბამება კანონის აღნიშნულ დისპოზიციას, რადგან ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატმა დაარღვია მოცემული წესები. აპეკ-ის 11.3 მუხლის საფუძველზე კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში. აღნიშნულის საფუძველზე, კომისიამ იხელმძღვანელა შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით და დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის საჯაროდ მოხსენიება სიტყვით „ნაბიჭვარი“ არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. ეთიკის კომისია

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4837467feb9.pdf/5c4837467feb9.pdf>

არ იზიარებს ადვოკატის პოზიციას, რომ სიტყვა „ნაბიჭვარი“ არ არის შეურაცხმყოფელი. გამოყენებული სიტყვის ისტორიული დეფინიცია მართალია ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილის გამომხატველია, თუმცა საზოგადოებაში დამკვიდრებული შინაარსობრივი მნიშვნელობა აშკარად შეურაცხმყოფელად მიიჩნევა, თუმც კი შესაძლოა შეურაცხყოფის მიზანი არც კი ამოძრავებდა ადვოკატს. სწორედ ამიტომ, ადვოკატმა მოცემული სიტყვის გამოყენებით ადვოკატის ის ეთიკური მინიმუმი დაარღვია, რომელიც აღნიშნული საფუძვლებით იყო დაცული.

დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, დადგინდა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), აპეკ-ის 9.4 და 11.3 მუხლებით დადგენილი ქცევის წესების დარღვევა. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.